# “აღკვეთის ღონისძიება გირაოს პატიმრობით შეცვლა კანონის დარღვევის ან/და ახალი დანაშაულის ჩადენისას.”

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*


სამართლის სკოლა

ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი, 2023

განაცხადი, როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გალაქტიონ ფახურიძე

2023 წელი

# აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი შეეხება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ, გირაო შეფარდებული ბრალდებულის მიერ აღკვეთის ღონისძიება გირაოს პატიმრობით შეცვლის საკითხს, კანონის დარღვევის ან/და ახალი დანაშაულის ჩადენისას.

კვლევის მიზანია, სიღრმისეულად და სკულპულოზურად იქნას გამოკვლეული, თუ რას გულისხმობს "კანონის დარღვევა" და "ახალი დანაშაულის ჩადენა", რამდენად არის შესაძლებელი ამ საფუძვლით აღკვეთის ღონისძიების შეცვლა და ეს საკითხი ჰარმონიაშია თუ არა საერთაშორისო სტანდარტებთან.

ნაშრომის უმთავრეს პრობლემად განისაზღვრა ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენისათვის ბრალის დადგენილების საკმარის საფუძვლად მიჩნევა, რაც კითხვებს აჩენს უდანაშაულობის პრეზუმფციასთან მიმართებით. ასევე, კანონის დარღვევის შემთხვევა, რამდენად აკმაყოფილებს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის სტანდარტს, ვინაიდან აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელია, რომ პირმა ჩაიდინოს "დანაშაული".

კვლევის მიმდინარეობისას წამოჭრილი პრობლემატური საკითხების ყოველმხრივ გამოკვლევისა და სკულპულოზური ანალიზის გაკეთებისათვის გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის კვლევის მეთოდები, მათ შორის: ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი,პრაქტიკოს იურისტებთან ინტერვიუირება და სასამართლოს რელევანტური გადაწყვეტილებები და განმარტებები.

ასევე, ფუნდამენტურად გამოვიკვლიე და გავაანალიზე სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა, ევროსასამართლოს მიდგომა და რამდენიმე ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში გამოტანილი დასკვნები და რეკომენდაციები ემყარება - საკვლევი საკითხის საფუძვლიან შესწავლას და მისი ღრმა ანალიზის შემდგომ რაციონალური შუალედის იდეას, რაც შემდგომში უნდა

დაეხმაროს და გამოადგეს სისხლის სამართლის მეცნიერებით დაინტერესებულ სტუდენტებს, მკვლევარებსა და პრაქტიკოს იურისტებს.

ნაშრომის საძიებო სიტყვები: აღკვეთის ღონისძიება, კანონის დარღვევა, ახალი დანაშაულის ჩადენა და უდანაშაულობის პრეზუმფცია.

## Abstract

This master's thesis concerns established by the criminal procedure legislation The question of the accused's changing the bail to custody, in case of breaking the law and/or committing a new crime.

The purpose of the research is to investigate in depth and meticulously what is meant by "violation of the law" and "committing a new crime", to what extent it is possible to change the prevention measure on this basis, and whether this issue is in harmony with international standards.

The main problem of the work was defined as a sufficient basis for the determination of guilt by the accused for committing a new crime, which raises questions in relation to the presumption of innocence. Also, the case of violation of the law, to what extent it meets the standard of changing the preventive measure, since it is necessary for the person to commit a "crime" in order to use the preventive measure.

Various types of research methods have been used for comprehensive investigation and meticulous analysis of the problematic issues raised during the research, including: historical, comparative-legal analysis, statistical data analysis, interviews with practicing lawyers and relevant court decisions and explanations.

Also, I fundamentally researched and analyzed various scientific literature, the approach of the European Court and criminal procedural legislation of several countries.

The conclusions and recommendations made in this master's thesis are based on a thorough study of the research issue and the idea of a rational intermediate after its deep analysis, which should further help and be useful to students, researchers and practicing lawyers interested in the science of criminal law.



Keywords for the paper: deterrence measure, violation of law, commission of new crime and presumption of innocence.